

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება: ქრისტიანული ფილოსოფია 111809 / Christian Philosophy 111809

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ქრისტიანული ფილოსოფიის დოქტორი / PhD in Christian Philosophy

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 (ECTS) კრედიტი, (1 კრედიტი = 25 საათს). პროგრამის ხანგრძლივობა 3 აკადემიური წელი (6 აკადემიური სემესტრი). ერთი აკადემიური სემესტრი მოიცავს 19 კვირას.

პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული:

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი თენგიზ ირემაძე

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია საბჭოთა კავშირის პირობებში საგანმანათლებლო და კვლევითი ტრადიციის მიერ უარყოფილი ქრისტიანული ფილოსოფიის მეცნიერული შესწავლა, ანალიზი, ინტერპრეტაცია და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის კონტექსტში მისი სისტემური განვითარება.

მკვლევარი-ფილოსოფოსების ახალი თაობის მომზადება, რომლებიც თანამედროვე მაღალი მეცნიერული სტანდარტების დონეზე შეძლებენ ქრისტიანული ფილოსოფიის აქამდე დაუმუშავებელი მიმართულებების, ავტორების, კონცეფციებისა და პრობლემების შესწავლას, ანალიზსა და ორიგინალურ მეცნიერულ ინტერპრეტაციას.

ქართული მართლმადიდებლური ფილოსოფიური ღვთისმეტყველების შეუსწავლელი ავტორების, დოკუმენტებისა და ნაშრომების მეცნიერული გამოკვლევა, მასშტაბური გააზრება და პოპულარიზება.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევების მომზადება, რომელთა შედეგების შემდგომი ინტეგრირება მოხდება თეოლოგიისა და ქრისტიანული ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამებში.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ქრისტიანული ფილოსოფიის საფუძვლიანი ინტეგრირება, მისი განვითარება მართლმადიდებლური მოძღვრებისა და ტრადიციის ჭრილში.

ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ტრადიციის ახლებურად გააზრება და განვრცობა, რაც ხელს შეუწყობს ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური დარგის/მიმართულების შემდგომ განვითარებას მისი სისტემური განახლებისა და სრულყოფის გზით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დოქტორანტურაში სწავლის უფლება ეძლევა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მიმართულებით მაგისტრის ან/და უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მონათესავე დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. სხვა ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს (უნივერსიტეტის დოქტორანტობის კანდიდატს) უნდა ჰქონდეს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და უნივერსიტეტის თანხმობა.

უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დოქტორანტურაში მიღების, სწავლისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

სტუდენტის სწავლის შედეგები

| | | |
|-------------------------------------|---|---|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე), არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.</p> | <ul style="list-style-type: none"> ✓ სტუდენტი ახლებურად გააცნობიერებს ქრისტიანული ფილოსოფიის ფუნდამენტურ პრობლემებს, ახლებურად გააზრებს ქრისტიანული მეტაფიზიკისა და ეთიკის მდიდარ ტრადიციას. ✓ სტუდენტს თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დონეზე ეცოდინება ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ისტორია დასაწყისიდან დღევანდელობამდე, მისი საფუძველმდებარე ცნებები და პარადიგმები, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გააფართოვოს ამ დარგში არსებული ცოდნა და გაამდიდროს ის ინოვაციური მიდგომების გზით. ✓ სტუდენტი ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი |
|-------------------------------------|---|---|

| | | |
|---|---|--|
| | | <p>ისტორიისა და ტრადიციის ახლებური შესწავლისა და ათვისების მეშვეობით შეძლებს ამ დარგის ინოვაციურ და საფუძვლიან კონტექსტუალიზაციას თანამედროვე ფილოსოფიისა და მეცნიერების ლანდშაფტში.</p> |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.</p> | <p>სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შექმნილი ცოდნის საფუძველზე ახალ კვლევათა დამოუკიდებლად დაგეგმვას ქრისტიანული ფილოსოფიის დარგში, ახალი კვლევითი პრობლემატიკის განსახილველად კვლევის ახალი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებას. ✓ შეიმუშავებს საკუთარი კვლევითი მიზნებისა და ამოცანების დასაძლევად იმგვარ კვლევით სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციური სამეცნიერო შედეგების ასახვაზე საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად პუბლიკაციებში. ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში ისეთი სახის კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავებას და დანერგვას, რომელიც თანამედროვე სწრაფად ცვალებადი სამყაროს პირობებში ქრისტიანული მრწამსის უკეთ გაგებას შეუწყობს ხელს. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა. პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.</p> | <p>სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის მდიდარი ისტორიის განმავლობაში არსებული განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეებისა და თეორიების, მეთოდებისა და მიდგომების კომპლექსურ კრიტიკულ ანალიზს, მათ სათანადო შეფასებასა და მეცნიერულ სინთეზს თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემათა სპექტრის სწორი და ეფექტური გადაჭრის გზების ძიების პროცესში. ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის ადგილისა და როლის განსაზღვრას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტრანსფორმაციის პროცესში, ქრისტიანული რელიგიის კონტექსტში მის ახლებურ შეფასებას. |

| | | |
|---------------------------|---|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის კლასიკური პრობლემების შესახებ ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული დასკვნების გაკეთებას და მის დაკავშირებას ამ დარგის აქტუალურ პრობლემებთან და პერსპექტივებთან. |
| კომუნიკაციის უნარი | ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხო ენაზე. | <p>სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და მემკვიდრეობის ნათლად წარმოჩენას თანამედროვე ცოდნის კონტექსტში და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე საკუთარი კვლევის შედეგების ეფექტურ პრეზენტაციას უცხო ენაზე (როგორც ზეპირი, ისე წერიტი ფორმით). ✓ საკუთარი არგუმენტების დამაჯერებლად წარმოდგენასა და დაცვას აკადემიურ საზოგადოებასთან პოლემიკის პროცესში. ✓ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეძენილი პროფესიული ცოდნისა და საკუთარი უცხოენოვანი კომპენტენციების საფუძველზე ქრისტიანული ფილოსოფიის ქართულენოვანი ტრადიციის საზღვრებს მიღმა გატანასა და ნაყოფიერ პოპულარიზებას. |
| სწავლის უნარი | უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში. | <p>სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის დარგში მიმდინარე პროცესების ადეკვატური აღქმის საფუძველზე საკუთარი კვლევითი საქმიანობის იმგვარ წარმართვას, რაც ამ დარგში მეცნიერული ცოდნის ხარისხის ზრდას, სასწავლო-კვლევითი პროგრამების სრულყოფასა და განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს, თავის მხრივ, დროთა განმავლობაში, ამ მიმართულებით ახალი კვლევითი პოტენციალისა და რესურსების ზრდასა და სრულყოფას გამოიწვევს. |
| ღირებულებები | ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. | <p>სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ქრისტიანული ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე პრობლემებისა და პერსპექტივების ათვისებისა და გაშინაგანების საფუძველზე ჭეშმარიტი |

| | | |
|--|--|---|
| | | <p>ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრებასა და გავრცელებას შეუწყოს ხელი.</p> <p>✓ ახალი სასწავლო და კვლევითი მეთოდოლოგიის საფუძველზე მოახდინოს მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ტრადიციის საფუძველმდებარე ღირებულებების ჩართვა ქრისტიანული ფილოსოფიის კვლევის საერთაშორისო პროცესში.</p> |
|--|--|---|

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობის, დამოუკიდებელ მეცადინეობის, სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკის, შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარების, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადისერტაციო ნაშრომი) მუშაობის, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვისა და სხვა შესაბამის ფორმატში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა: წიგნზე მუშაობის მეთოდი (ამონაწერების/ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.), ვერბალური მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი (ვიზუალურად წარმოდგენილი მასალების ესთეტიურობა, პრეზენტაციის ტექნოლოგია, აპარატურის მოხმარების, ვიდეომასალის დემონსტრირება), პრაქტიკული მეთოდი (საწარმოოგაცნობითი, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვ.), ევრისტიკული მეთოდი და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების რეალიზაციის საშუალებებია დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის და მისი სტატისტიკური ანალიზი, გონებრივი იერიში, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტება, რაციონალური საკითხის დასმა, გადაწყვეტის გზა და მეთოდი, შედეგი და არგუმენტაცია; რეგლამენტის დაცვა, ლოგიკური მსჯელობა, სწორი დასკვნების გაკეთება, შეკითხვებზე ოპტიმალური პასუხი.

პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის, მიღწეული პროგრესის შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მისი სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სტრუქტურა იყოფა ისეთ ორ ელემენტად, როგორცაა შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. თითოეულს შეფასების სისტემაში აქვს თავისი პროცენტული წილი. შეფასების შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს (დასწრება, აქტიურობა, რეფერატის პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ.) კომპონენტებად, რომლებსაც აგრეთვე თავისი პროცენტული წილი აქვთ ამ ელემენტის ფარგლებში. შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს.

როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის (წერთი, ზეპირი) ფორმატი, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსით (სილაბუსით).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რანჟირების სკალის შესაბამისად, სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით (სილაბუსით) დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადგენილი შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის დაშვებულია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა-ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.

„ვ“ პუნქტით დადგენილი შეფასების დროს დისერტაცია ბრუნდება გადამუშავებისათვის, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლის ვადით.

„ზ“ პუნქტით განსაზღვრული შეფასებით დოქტორანტი კარგავს იგივე დისერტაციის წარდგენის უფლებას.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს წმიდა ეკლესიის უცვალეზელ რჯულსა და მოძღვრებაზე, ქრისტიანული აზროვნების საკვანძო საკითხებსა და ავტორებზე, მართლმადიდებლურ დოგმატიკაზე დაფუძნებული ფართო დიაპაზონის გამოკვლევა, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ღირებულება. დისერტაცია უნდა შეიცავდეს თეორიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების შესაბამისი დარგის განვითარებაში (თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი). დისერტაცია უნდა დაიწეროს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - მაცნე (ავტორეფერატი) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში დისერტაციის სხვა ენაზე შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო ნაშრომის და სადისერტაციო მაცნეს მოცულობას, ფორმატს, გაფორმების წესს და სხვა მონაცემებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი განსაზღვრულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციელისტებთან, უნივერსიტეტის პერსონალის შრომით პოზიციებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული აქტებით. კერძოდ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსებს ახორციელებენ:

| კურსი/მოდული/საგანი | სახელი, გვარი | კვალიფიკაცია |
|--|---|---|
| ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე პრობლემები | თენგიზ ირემაძე | ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი |
| სამეცნიერო კვლევის მეთოდები | თენგიზ ირემაძე ლალი ზაქარაძე მიხეილ გოგატიშვილი | ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი |
| ქრისტიანობა და უნივერსიტეტის იდეა | გიორგი თავაძე | ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| ქრისტიანული ფილოსოფია | თენგიზ ირემაძე | ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი |
| ქართული ფილოსოფია | თენგიზ ირემაძე | ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი |
| საკრალური ადგილებისა და სივრცეების ფილოსოფია | გიორგი თავაძე | ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| კოლოკვიუმი I | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სამეცნიერო სტატია I | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა I | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| კოლოკვიუმი II | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სამეცნიერო სტატია II | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა II | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სამეცნიერო სტატია III | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა III | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |
| სადისერტაციო ნაშრომი | მეცნიერ-ხელმძღვანელ(-ებ)ი | - |

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მატერიალურ ბაზაზე, სადაც სტუდენტი უზრუნველყოფილია სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ფართითა და საბიბლიოთეკო ფონდით.

პროგრამის სტრუქტურა / სასწავლო გეგმა

| რიგითი ნომერი | სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები | სემესტრი | კრედიტების რაოდენობა | საათების განაწილება | | | | | |
|---------------|--|----------|----------------------|---------------------|--------------------------|-------------------|-------------------|-----------------------|------------------------|
| | | | | საკონტაქტო საათები | | | | | სულ საათების რაოდენობა |
| | | | | ლექცია | სემინარი/ჯგუფთან მუშაობა | შუალედური გამოცდა | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა | |
| 1. | ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე პრობლემები | I | 10 | 30 | 50 | 5 | 5 | 160 | 250 |
| 2. | სამეცნიერო კვლევის მეთოდები | I | 10 | 30 | 50 | 5 | 5 | 160 | 250 |
| 3. | ქრისტიანობა და უნივერსიტეტის იდეა | I | 10 | 10 | 40 | 5 | 5 | 190 | 250 |
| 4. | ქრისტიანული ფილოსოფია | II | 10 | 5 | 45 | 5 | 5 | 190 | 250 |
| 5. | ქართული ფილოსოფია | II | 10 | 5 | 45 | 5 | 5 | 190 | 250 |
| 6. | საკრალური ადგილებისა და სივრცეების ფილოსოფია | II | 10 | 10 | 40 | 5 | 5 | 190 | 250 |
| 7. | კოლოკვიუმი I | III | 10 | 0/გ | 0/გ | 0/გ | 0/გ | | 250 |
| 8. | სამეცნიერო სტატია I | III | 10 | 0/გ | 0/გ | 0/გ | 0/გ | | 250 |
| 9. | სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა I | III | 10 | 0/გ | 0/გ | 0/გ | 0/გ | | 250 |

| | | | | | | | | | |
|-----|-----------------------------------|----|-----|-----|-----|-----|-----|--|-----|
| 10. | კოლოკვიუმი II | IV | 10 | ო/გ | ო/გ | ო/გ | ო/გ | | 250 |
| 11. | სამეცნიერო სტატია II | IV | 10 | ო/გ | ო/გ | ო/გ | ო/გ | | 250 |
| 12. | სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა II | IV | 10 | ო/გ | ო/გ | ო/გ | ო/გ | | 250 |
| 13. | სამეცნიერო სტატია III | V | 10 | ო/გ | ო/გ | ო/გ | ო/გ | | 250 |
| 14. | სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა III | V | 20 | ო/გ | ო/გ | ო/გ | ო/გ | | 500 |
| 15. | სადისერტაციო ნაშრომი | VI | 30 | ო/გ | ო/გ | ო/გ | ო/გ | | 750 |
| | სულ | | 180 | | | | | | |